# დილა

№4, 2012



გამოცემის 108-ე წელი



# ვინ ვისი შვილია?

| | აქლემი | დათვი | ვეფხვი | ცხენი | სპილო | მგელი | შველი | ვირი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| სპლიყვი | ლ | ს | ა | ო | ა | კ | დ | ჟ |
| კვიცი | ა | ფ | ვ | პ | ნ | ხ | მ | თ |
| კოზაკი | ზ | ხ | რ | ტ | ფ | ჯ | გ | შ |
| ჩოჩორი | პ | ნ | ე | ქ | ღ | ს | უ | ი |
| ბელი | ფ | ო | ჰ | ბ | მ | ა | დ | ფ |
| ბოკვერი | ი | გ | ო | ძ | ვ | შ | ს | ჟ |
| ნუკრი | ნ | ი | ტ | დ | ი | ც | კ | ჩ |
| ლეკვი | ქ | დ | რ | წ | ა | რ | ჯ | ჭ |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|

აპოვნინე ყველა ცხოველს თავისი შვილი და ასოები, რომლებიც მათ გადაკვეთაზე შეგხვდება, ჩაწერე ცარიელ უჯრებში. რა სიტყვა მიიღე?

# პატარა სპორტსმენები



გიომ, დათომ, ანამ და ნიამ გადაწყვიტეს, სპორტისთვის სერიოზულად მოეკიდათ ხელი. ყველა სხვადასხვა სექციაში ჩაეწერა: ერთი ბეისბოლით დაინტერესდა, მეორე — ტანვარჯიშით, მესამე — სკეიდბორდინგით და მეოთხე — ალპინიზმით. რადგან ყველა სექციას თავის გრაფიკი აქვს, მეგობრები უკვე იშვიათად ხვდებიან ერთმანეთს. ოთხშაბათობით ვერც ერთს ვერ ნახავთ ეზოში, ამ დღეს ოთხივეს ვარჯიში აქვს. თითოეულს კვირაში ორი დღე აქვს დაკავებული.

გაარკვიეთ, სპორტის რომელი სახეობა აირჩია თითოეულმა და რომელ დღეებში აქვთ ვარჯიში, თუ იცით:

- არც ერთი სექცია არ აწყობს ვარჯიშს ზედიზედ ორ დღეს.
- ოთხშაბათის გარდა ყველა ბავშვს ვარჯიში კვირის სხვადასხვა დღეს აქვს.
- დასვენების დღეებში მუშაობს მხოლოდ სკეიდბორდინგის და ბეისბოლის სექციები.
- არც ერთი გოგო არ დაინტერესდა  ალპინიზმით, ბიჭები კი — ტანვარჯიშით.
- დათოს არ უყვარს სპორტი ბურთის გარეშე.
- შაბათობით ნია თავისუფალია, ანას კი ვარჯიში აქვს.
- პარასკეობით გოგოები დამატებით კერვის  და ქარგვის წრეზე დადიან.

| სახელი | სპორტის სახეობა | ვარჯიშის გრაფიკი |
|---|---|---|
| გიო | | |
| დათო | | |
| ანა | | |
| ნია | | |








ბავშვები წელს პირველად უნდა წავიდნენ სკოლაში, რათა ანგარიში ისწავლონ. მანამდე კი მათ შენი დახმარება დასჭირდებათ. თითოეულს გარს აკრავს ციფრები 1-დან 8-მდე. ჩაწერე გამოტოვებული ციფრი და გაითვალისწინე, რომ ერთი ბავშვის ირგვლივ ციფრები არ უნდა მეორდებოდეს.

| | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 2 | 7 | 5 | 2 | 4 | 1 | 2 | 1 | | | 8 |
| 8 |  | 6 |  | 3 |  | |  | 4 |  | 6 |
| 4 | | 1 | | 7 | | 6 | | | 5 | 2 |
| 7 |  | |  | 3 |  | 2 |  | 3 |  | 1 |
| | 5 | | 5 | | 1 | | 1 | | 8 | |
| 4 |  | 1 |  | 7 |  | 8 |  | 2 |  | 5 |
| 7 | | 2 | | | | | 7 | | 1 | |
| 8 |  | 1 |  | 4 |  | 1 |  | 2 |  | |
| 4 | 5 | | 7 | | 7 | | 4 | | 4 | 8 |
| |  | 3 |  | 1 |  | 3 |  | 1 |  | 6 |
| 2 | 7 | 8 | | 2 | 4 | | 7 | | 3 | 7 |

# სიტყვათა თამაში



ამ თავსატეხში დამალულია შვიდასოიანი გამოსაცნობი სიტყვა. გამოცნობას შეძლებ, თუ პირველი რიგის (ჰორიზონტალურად) ორ სიტყვაში ამოიცნობ დამალული სიტყვის 1-ლ, მე-2 და მე-3 ასოს, იმავე რიგის მესამე და მეოთხე სიტყვებში კი — მე-5, მე-6 და მე-7 ასოებს. როგორც ხედავ, მეოთხე ასო გამოტოვებულია. როდესაც ყველა დამალულ სიტყვას გამოიცნობ, ცენტრალურ სვეტში ჩაწერილი ასოებიდან უნდა ააწყო მთავარი სიტყვა. ამოცანა რომ გაგიადვილოთ, მაგალითისთვის ერთ რიგს ჩვენ შეგივსებთ.

- აბჯარი, იგივე ჯაჭვის...
- ტროპიკული ხილი;
- ბოსტნეული, რომელიც კურდღელს ძალიან უყვარს;
- სპორტი, სადაც ცხენები და კუები ერთად იბრძვიან.
- სანადირო თოფის ტყვია.
- წერილებს დაატარებს ...
- გადაადგილების საშუალება.

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| პეპელა | როლი | | ნალი | მარაგი |
| კანაფი | ქარი | | ასლი | ვეფხვი |
| სპორტი | ტიტა | | მინა | კალოში |
| ჭერამი | ქადა | | თარო | კიკინა |
| ფასადი | ფული | ა | ნული | ტიტული |
| კუპატი | ფარი | | ქერი | კანაფი |
| მურაბა | კანი | | ხალი | ნახატი |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | |

# მეზობლები

მხატვარი
გია ლაფაური




— ჯობია, ისევ ძილი გავაგრძელო, იქნებ კიდევ რამე სასიამოვნო დამესიზმროს.
მზე უკვე სახლის თავზე ამოიწვერა.
ეს კი კოქეს მეზობელი, ოინბაზობით განთქმული ციცქა. ახლა სძინავს, მაგრამ, როგორც კი გაიღვიძებს, მეზობელს ისევ ათასგვარ ხათაბალაში გახვევს.
— გაიღვიძეთ, აშენდა ქვეყანა!!!
— გა-თენ-და! გა-ი-ღვი-ძეეეეე!
— ღმერთო, როგორ დამჩხავის!
— აღარ გაჩუმდება?!
— მეზობლებო, ადგომის დროა!
— ზააააახ!
ზა-ზაააააახ!
როგორც ჩანს,
ძილს არც კოქეს დააცდიან.


– რით ვერ გაიგეთ, გათენდა, ხმა ჩამიწყდა, ხალხი არა ხართ?!!!!!
– წააააახ! წა-წააააახ!
– აუუუ, ისევ დაიწყო!
– არა, ეს ზარზაზანი თუ არ დავადუმე, გოგო არ ვიყო.
– დაგამტვრევ, დაგამსხვრევ, გაგანადგურებ!
– არა, არ დაიქუხო, გემუდარები.
– მიშველეეეეთ!
– ადგომის დროა!
– მზად ვარ, შევუდგე სამსახურს! ხეებო, შეგიძლიათ მშვიდად იყოთ. კოდე თქვენს სადარაჯოზეა.
– დავამთქნარეთ, გავიზმორეთ....
– კიდევ ცოტაც ხომ არ წავუძინოთ?!


— აბა, გავხედოთ არემარეს.
რა მშვენიერი დილაა.
— ეს რა ხდება მთის წვერზე?!
— ხედავთ, როგორ გივლით,
როგორ ვზრუნავ თქვენზე.
— რაღაც მტვერი
დაგდებიათ...
— აი, ასე ჯობს.
— სკამს მოვიტან, ერთი
კარგად შემოგხედოთ.
— გეფერები, სხვა რამე არ გეგონოს.
— პერიმეტრი სუფთაა,
ტერიტორიას საფრთხე არ
ემუქრება...
— რა ხდება კიკი,
ისევ ანცობ?
— არა, რას ამბობ, თავისით ამოხტა
წყლიდან და ძლივს დავიჭირე,
თორემ ძირს დაენარცხებოდა.


— რა პატარა ხარ, ერთ ყლაპს გიზამ და...
ШТТТ
— ჩუმად იყავი, მუშაობაში ხელს მიშლი!
— ბედი არა მაქვს. გავამშრალოთ, არ გაგვიცივდეს.
— ჩემი დროც დადგება.
ტიტე, ხერხით ხელში, მეზობლის სახლისკენ მიიპარება. ისევ რაღაც ოინი აქვს ჩაფიქრებული.
ტიტეს მსოფლიოში ყველაზე ერთგული და სისუფთავის მოყვარული ძაღლი ჰყავს — ტოტორიკა.
— შენ გადმოყარე ეს ნაგავი?
— დაგავე, დაგავე! არ მოცდე!
ტიტემ სათვალთვალო ხვრელი ამოჭრა.
— აბა, ვნახოთ რა ხდება.
ჩვენი კოტე თავის სტიქიაშია.



– ეს ვიოლაა, ჩემი პატრონის სახლში რომ იჭყიტება?
– მე შენ გიჩვენებ სეირს.
– ნახე, როგორ აგიწვავ მაგ უკანალს.
– ვაიიიიი!
– ეს რა ხმაა, ვინ ყვირის?
– მოჩვენებები დამეწყო, მგონი, ავად ვარ.
– რა დღეში ჩამაგდო ამ პირუტყვმა.
– მოდი, ახლა მე ვცდი.
– საბალახოც ვიპოვე!
– ასეთ გემრიელ ბალახს მინდორშიც ვერ იპოვი.
– ეს ხვრელი ჩემთვის გამოუჭრიათ.


— მგონი, მივხვდი, რა ხდება.
— გავგიჟდი კაცი!
— გაიხარე, ჩემო პატრონო, აი, მესმის საუზმე.
— წავასწარი, არა?!
— გამოდი, შე ხულიგანო!
— როგორ გაბედე, დამეკარგე აქედან, თვალით არ დამენახვო!
— დილა მშვიდობისა, მეზობელო!
— მშვიდობა ნუ მოგიშალოს ღმერთმა.
— რაღაც საეჭვოდ გამოწყობილხარ, მაგ ბოთლში რა ჩაგისხამს?
— რძე მოვიმზადე, მარგებელია. გონებას უნათებს კაცს.
— მართლაც რა კარგია, სულ ღვინის გემო აქვს.
— მომეცი აქ, შენ არავინ გეკითხება.


— წადი, წადი, ხეირი ნახე!
კოტე და ტიტე სოფლის შარაზე გამოვიდნენ და საწინააღმდეგო მიმართულებით გაემართნენ. კოტეს ეჭვი ღრღნის და გადაწყვიტა, ტიტეს უკან გაჰყვეს.
მიდის ტიტე და უკან ერთგული ტოტორიკა მიჰყვება.
კიკი კოტეს მისდევს და ფეხები უკან რჩება.
— მგონი, უკან გამოგვყვნენ.
— რაღა მე მომიშვირა, არ გავარდეს!
— გინდა, კარგი ოინი მოვუწყოთ?
— აი, ამ ლასტებს გამოვიყენებ.
— რა ცხოველია, ამხელა ფეხი რას უნდა ჰქონდეს?
— გოლიათი კურდღელი იქნება, ახლა შემოგვიბრუნდება, ამ თოფს წაგვართმევს და ვაი, შენს მტერს...


– თავს ვუშველოთ!
– მოიცა, აქ რაღაც ისე ვერ არის.
– დაფიქრება გვმართებს.
– მივხვდიიიი!
– ჩამოდი, ჩამოდი, მშვიდობაა!
– ხედავ? ეს კურდღელი კი არა, სელაპია.
– როგორ ვერ ხვდები, ჩვეულებრივი სელაპი! მას ხომ სწორედ ასეთი ფეხები აქვს და აი, ასე დაცურავს.
– აქ სელაპს რა უნდა, ხომ არ შეიშალე?
ციცე და ცოცორიკა მშვიდად აგრძელებენ გზას და უკან სელაპის თუ გიგანტური კურდღლის ნაფეხურებს ტოვებენ.
დაბნეული კოტე და კიკი უკან მიჰყვებიან. ნეტავ, სად მიიყვანს მათ ეს უცნაური ნაკვალევი?

# მოდური ქოლგა



1. სასწავლო დაწესებულება;
2. ბოსტნეული, რომელიც თითქმის ყველა სადილს სჭირდება;
3. ეკლიანი, სურნელოვანი ყვავილი;
4. მშვილდით სატყორცნი ჯოხი;
5. უდიდესი ცხოველი დედამიწაზე;
6. მოლოდინი, რწმენა, რომელიც ყველაზე გვიან კვდება;
7. ნივთი, რომელსაც სხვადასხვა ფერი აქვს, ნაირფერი;
8. ინგლისური სიგრძის საზომი ერთეული;
9. გუნდური თამაში ოვალური ბურთით;
10. ცხოველი, რომელსაც დატოტვილი რქები აქვს;
11. საქართველოში გავრცელებული ალკოჰოლური სასმელი;
12. ფეხსახსრიანი შხამიანი ცხოველი, რომელიც ქსელს აბამს;
13. მოგზაურის ტვირთი;
14. წვეტიანი გამონაზარდი ზოგირთი მცენარის ტანზე;
15. დროის მონაკვეთი, 60 წუთი;
16. ქალის პირსაბურავი;
17. გადასახადი, რომელსაც დამპყრობელს უხდიან;
18. დიდი იალქნიანი სასპორტო ნავი;
19. ლექსის სხვადასხვა სტრიქონში ბოლო ბგერათა გამეორება;
20. მოკლე ალეგორიული მოთხრობა.



მიჰყევი ვაშლების გზას და ერთი ფოთლიანი ვაშლიდან მეორემდე ჩაწერე მოცემული კითხვის პასუხი. გაითვალისწინე, რომ ყველა მომდევნო სიტყვა იწყება წინა სიტყვის ბოლო ასოებით.



მავნე მწერი

მატარებლის გზა

სიმებიანი საკრავი.

რეაქტიული საფრენი აპარატი

ინტელექტუალურ-შემეცნებითი გადაცემა

ცრემლის მღვრელი

რეპტილია

გოლიათი ადამიანი

ძველებური ნივთებით მოვაჭრე

გოგებაშვილის მშობლიური სოფელი

ფერია ანუ...

ეგვიპტის



შექმენი შენი საკუთარი ფერი და გააფერადე ნახატი.

| | | | |
|---|---|---|---|
| 1= | 2= | 3= | 4= |
| 5= | 6= | 7= | 8= |

## იპოვე 7 განსხვავება



XI საუკუნის ტაძარი რაჭაში

მმართველი

შინაური ფრინველი

შხამიანი გველი

კრივის მოედანი

მომცრო

ცხენის ზურგზე დასაჯდომელი მოწყობილობა



# კომისარი თანდილა

# საქმე № 012






სამეზობლოში დიდი მიწერ-მოწერა ატყდა: გადაწყვიტეს, აუცილებლად შეიკრიბონ, რადგან საქმის გადადება აღარ შეიძლება. ამისთვის ერთი დღე ყველამ უნდა მოიცალოს, თუმცა თითოეულმა თავისი პირობა წამოაყენა: ზოგი ხუთ დღეში ქალაქიდან გადის, ზოგი ვარჯიშს ვერ გააცდენს, ზოგს კენტ რიცხვებში მუსიკის გაკვეთილი აქვს...

საბოლოოდ აღმოჩნდა, რომ არსებობს ის ერთი დღე, როცა ყველას სცალია.



მეგობრების კონსპირაციული და საეჭვო მიმოწერა კომისარ თანდილას ფხიზელ თვალს არ გამოჰპარვია. რა იცი, რა ხდება, რატომ იკრიბებიან და რა აქვთ ჩაფიქრებული? იქნებ ძარცვა დაგეგმეს ან სხვა საზოგადოებრივად საშიში დანაშაული... ათასგვარ ხათაბალაში შეიძლება გაებან. რა საქმე უნდა იყოს, აუცილებლად ერთი დღე რომ სჭირდება?

თანდილამ თავისი კონტაქტები გამოიყენა და მეგობრების მოკლე ტექსტური შეტყობინებები ხელში ჩაიგდო.




ბევრი ფიქრი და განსჯა არ დასჭირვებია ჭკვიან კომისარს, შეთანხმებული თარიღი რომ ამოეცნო და იმ დღეს „დანაშაულის“ ადგილზე პირველი ის გამოცხადდა.








# მეგობრული ოჯახი



დაეხმარე მამალს, გაიაროს ლაბირინთი და გზად თავი მოუყაროს გაფანტულ წიწილებს.

ჟურნალის ამ ნომერს მოჰყვება შემეცნებითი გასართობი თამაში – ლოტო.
ლოტოში მოცემულ ყველა კითხვაზე პასუხს ამ წიგნებში იპოვით.




- ეგვიპტე
- საბერძნეთი
- შუამდინარეთი
- ჩინეთი
- სპარსეთი
- ინდოეთი
- იაპონია
- რომი
- ბაბილონი
- მესოამერიკა





ყდაზე ნახატი: გია ლაფაურისა
გამომცემელი: ააიპ საბავშვო მწერლობის განვითარების ასოციაცია
ტელ.: 272-97-67; 293-69-77
http://www.dila.ge
ელ-ფოსტა: dila1904@yahoo.com
ფასი: 3 ლარი